ბრძანება:**ბ94.94222101**
თარიღი:**29/07/2022**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა ტ. აბუსერიძის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ მდებარე 253.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.03.34.571) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №24 დადგენილების „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებისა და მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა ტ. აბუსერიძის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ მდებარე 253.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.03.34.571) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა ტ. აბუსერიძის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ მდებარე 253.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.03.34.571) საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 3036.0 (სამი ათას ოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/“ბე“ განისაზღვროს 910.80 (ცხრაას ათი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით.

4. „ბიჯი“ განისაზღვროს 151.80 (ას ორმოცდათერთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით.

5. ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც

გამოვლინდება გამარჯვებული ემატება საწყის გასაყიდ ფასს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო გასაყიდ ფასს.

6. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2022 წლის 29 ივლისის 15:00 საათზე და სრულდება 2022 წლის 12 აგვისტოს 15:00 სათზე;

7. აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

ა) აუქციონში გამარჯვებულმა მიწის ნაკვეთზე განახორციელოს 18 თვის ვადაში არანაკლებ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ინვესტიცია და მოაწყოს მინი საწარმო სანთლის ფიჭის წარმოებისათვის.

ბ) ობიექტში დაასაქმოს არანაკლებ 2 ადგილობრივი მცხოვრები.

გ) ობიექტის პროფილი შეინარჩუნოს არანაკლებ 10 წლით.

დ) ობიექტის ამოქმედება მოახდინოს მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 20 თვეში.

ე) მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე არ მოახდინოს მიწის ნაკვეთის გაყოფა ან გასხვისება.

ვ) ქონების მყიდველის მიერ აუქციონის პირობების ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონება უბრუნდება მესაკუთრეს - ქედის მუნიციპალიტეტს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

8. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონებების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

9. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

10. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურს (გ. წითელაძე) უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge.

11. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ სამსახურის უფროსმა (ბ.სურმანიძე) წინამდებარე ბრძანება (პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ი. ვასაძეს.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

როლანდი ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი